# ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №9

01.03.2018წ.
თავისუფლების #2
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ოთახი 329
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ნინო ლაცაბიძე;
2. თამარ ტალიაშვილი;
3. ოთარ გრიგოლია;
4. ვლადიმერ მძელაძე;
5. დათო ჟღენტი;
6. ლილე ლიპარტელიანი;
7. ქეთევან მამულაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე მერიის წარმომადგენლები:

1. გელა ჩივიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი;

2. მარი ჩივაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი.

## სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა

(#12-03180575-03 26.02.2018)

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული

ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

(12-03180591-03 28.02.2018წ.)

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი დოხტურიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი დოხტურიშვილმა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებს წარმოუდგინა დღის წესრიგის პირველისაკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს.

(#12-03180575-03 26.02.2018)

გელა ჩივიაშვილი - საკრებულოს დადგენილების პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი", კერძოდ დადგენილების პირველი მუხლით მტკიცდება „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესი, ხოლო მე-2 მუხლით „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის" დებულება.

წარმოდგენილი წესის პროექტით ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოსარგებლე პირები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, ასევე, იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართი საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარმოებულ „დევნილთა მონაცემთა ბაზაში" არის ქალაქი თბილისი, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის" ბენეფიციარები. ამასთან გათვალისწინებულია წესის მოქმედების სფერო, ქვეპროგრამაში ჩართვისათვის აუცილებელი პროცედურები, განცხადების განხილვა, დაფინანსების პროცედურები, დაფინანსების მოთხოვნის ადმინისტრირების პირობები, დაფინანსების ოდენობა, თანხის ანაზღაურების პროცედურა და კონტროლის განხორციელების მექანიზმი, ასევე მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსების შემთხვევაში მიმწოდებელი დაწესებულებიდან სავალდებულო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულებაზე თანხმობის ბარათი".

მოქმედ წესთან მიმართებით შეიცვალა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა. სამედიცინო მომსახურების ან სხვა სოციალური საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების მისაღებად პირმა განცხადებით უნდა მიმართოს მერიას. ქვეპროგრამის მიმწოდებელი მიმართვების ადმინისტრირების მოდულის მეშვეობით ელექტრონული პროგრამის საშუალებით წარმოადგენს დაფინანსებისათვის საჭირო დოკუმენტაციას. წარმოდგენილი პროექტით, „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისია" არ განიხილავს სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტის დაფინანსების თაობაზე განცხადებას თუ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტით მოთხოვნილი თანხის ღირებულება არ აღემატება 1000 (ათას) ლარს. როგორც მოგეხსენებათ 1000 (ათას) ლარს დაბლა განცხადებებს განიხილავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობები. მოქალაქეებისთვის ბევრად გაიოლებულია

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა კომისიამ:

ნინო ლაცაბიძე - მიაჩნია, რომ წარმოდგენილი პროექტის დანართი #1-ის „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესის მუხლი 2 - ქვეპროგრამის მოქმედების სფერო და მისი მოსარგებლეები, მესამე პუნქტის ე) ქვეპუნქტიდან უნდა იქნას ამოღებული „დამსახურებული საზოგადო მოღვაწე" და უნდა ჩაიწეროს მრავალშვილიანი ოჯახის წევრი.

თამარ ტალიაშვილი - მიაჩნია, რომ „დამსახურებული საზოგადო მოღვაწე" უნდა დარჩეს წესის ჩანაწერში, აუცილებელია პატივი ვცეთ დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეებს, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახის წევრი დაემატოს პრიორიტეტული ჯგუფის ჩამონათვალს.

გელა ჩივიაშვილი - აღნიშნა, რომ მრავალშვილიანობის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი უახლოეს პერიოდში, სტატუსის მიღებასთან ერთად ჩაიწერება მრავალშვილიანი ოჯახის წევრი პრიორიტეტულ ჯგუფში.

წარმოდგენილი დებულების პროექტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის" კომპეტენციას განეკუთვნება დადგენილების პროექტის პირველი მუხლით დამტკიცებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესით" გათვალისწინებული მოსარგებლეების განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება სამედიცინო საჭიროების

დაფინანსების, სოციალური დახმარების გაცემის და სხვა სერვისების მიღებისათვის ფინანსური დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, წარმოდგენილი დებულების პროექტით მტკიცდება კომისიის ხელმძღვანელობა, კომისიის შემადგენლობა, კომისიის სხდომის გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ ტექნიკური უზრუნველყოფა.

აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით.

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებმა იმსჯელეს და დაადგინეს, რომ „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის" გადაწყვეტილება არის სარეკომენდაციო ხასიათის, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები არის სამსახური. შესაბამისად ოფიციალურად წარმოდგენილ ჩანაწერში უნდა შევიდეს ცვლილება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი დაეთანხმა კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით.
მალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს #19-55 დადგენილება.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

1.მომხრე: 5

2.წინააღმდეგი: 0

3.თავი შეიკავა: 2

კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი: 2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა(#12-03180591-03 28.02.2018წ.)

გელა ჩივიაშვილი - პროექტი მიზნად ისახავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8 22 დადგენილებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, კორექტირდება დადგენილების პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №4)“ მე-7 მუხლი.

ვინაიდან აღნიშნულ ქვეპროგრამას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამისათვის“ დადგენილი დირექტულებების შესაბამისად, მიზანშეწონილია მოხდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების ღირებულებების მუხლის კორექტირება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად, რაც გამოწვეულია ფასთა კლებით დაახლოებით 10 მდე.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, კომისიის ინიციატივით: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8 22 დადგენილებაში მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 04/01/2018, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.016446) და დადგენილების პირველი მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №1):

ა.ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქვეპროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი. “;

ა.ბ) მე 2 მუხლის მე 2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „2¹“ პუნქტი:

„2¹. ქვეპროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი).“;

ა.გ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად უნდა ჰქონდეს მუშაობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება.“.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2018 წლის 01 მარტის კომისიის სხდომაზე განიხილა ზემოთ აღნიშნული საკითხი. კომისიის ინიციატივით და ხმათა უმრავლესობით რეკომენდირებულია შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8 22 დადგენილებაში, კერძოდ, „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №1): მუხლი 1. ჩამოყალიბდეს ზემოთ წარმოდგენილი შინარსით.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

1.მომხრე: 5

2.წინააღმდეგი: 0

3.თავი შეიკავა: 2

<u>დაადგინა</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები, კომისიის მიერ მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი გიორგი დოხტურიშვილი